საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №137/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 1 აგვისტოს №137 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ნაწილობრივ.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ გამოიჩინა აშკარა მიკერძოება, რაც გამოიხატა ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ კოლეგიურ მხარდაჭერაში, რომელიც არის საქმეში მონაწილე მხარის - -- -- ძმიშვილი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 9 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- თავმჯდომარე -- -- და -- -- მიმართ კრების ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2016 წლის 16 სექტემბერს მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე - -- -- აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

2016 წლის 3 ოქტომბერს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. 2016 წლის 16 დეკემბრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 22 თებერვალს. სასამართლო სხდომები გაიმართა 22.02.2017; 17.05.2017; 03.07.2017; 31.07.2017; 23.10.2017; 20.11.2017 წწ პერიოდებში.

2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა -- -- 2016 წლის 9 აპრილის №-- კრების ოქმი, რომლის საფუძველზეც -- -- საკუთრებაში აღირიცხა უძრავი ნივთი.

2.2. 2018 წლის 4 იანვარს -- -- და -- -- თავმჯდომარემ -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდათ ხარვეზი. 2018 წლის 19 თებერვალს აპელანტების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე. 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა. 2018 წლის 22 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2018 წლის 16 ოქტომბერს.

2018 წლის 17 სექტემბერს სააპელაციო შესაგებელი წარადგინა მოწინააღმდეგე მხარემ. სასამართლო სხდომები გაიმართა 16.10.2018; 20.11.2018; 05.02.2019; 12.03.2019; 02.04.2019; 08.04.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; მოცემულ საქმეზე გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.3. 2019 წლის 12 ივნისს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2019 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 1 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 1 აგვისტოს №137 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა დაცვაში ხაზს

უსვამს ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების იმპლემენტაცია საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა". მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. ერთ-ერთ საქმეზე (Morice v. France, §95) სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (Ciprian v. Romania, §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (Micallef v. Malta, §98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლები არეგულირებს მოსამართლის აცილებისა და თვითაცილების საკითხებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, ასევე, 2019 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ გაკეთებული განმარტებით, რომ -- -- მხოლოდ კოლეგიური დამოკიდებულება აქვს და არ აკავშირებთ ახლო მეგობრობა (16:29:14) რაც არ წარმოადგენს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების პირობას, შესაბამისად, არ ქმნის მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური

საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №137/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი